№ 265 დეკემბერი 13, ოთხშაბათი 1889 დეკემბერი 13, ოთხშაბათ № 265

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	7 65	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

„ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

მომავალ 1889 წლის იანვრიდგან ჟურნალი „თეატრი" გამოვა სრულიად სხვა სახით და სხვა პირთა მონაწილეობით რედაქციაში. აგრეთვე აღთქმული გვაქვს უკეთესთა ქართველთა მწერალთა თანამშრომლობა ჟურნალში. ჟურნალის უმთავრესი დანიშნულება იქნება მისცეს წარმატება ჩვენს იმ გვარს ლიტერატურას, რომელსაც ექმნება სამკვიდრო მნიშვნელობა და ექმნება ხასიათი არა მარტო დღიური, არამედ მომავლისათვისაც. ჟურნალს აგრეთვე მიღებული აქვს ზომიერება, რომ შესცვალოს და შეავსოს თავისი პროგრამა დროებისა და გარემოების მოთხოვნილების დაგვარად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ამ ადრესით: Въ книжный магазинъ Г. Чарквіани и Р. Панцхава.

ქუთაისში: ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მოსე ნათაძესთან.

გორში: ილია ნატროევთან.

სენაკში: სამსონ ყიფიანთან.

ზუგდიდში: ექიმ აბელ იაშვილთან.

ახალციხეს: ზაალ ზაალოვთან.

(6—5)

ტფილისი, 12 დეკემბერი

ჯერ კიდევ თითქმის პირველ ხანებში, როცა ხმა დავარდა, რომ იტალიაც მიიკედლა გერმანიამაო და ავსტრიასთან ერთად ეგრედ წოდებული „სამთა კავშირი" შეადგინაო, ჯერ მაშინვე და მას შემდეგაც ვამბობდით ჩვენ, რომ ეს კავშირი თავს ვერ დაიჭერს და მისი გარღვევა და დაქსაქსვა სადღე-ხვალიო საქმეაო.

ჩვენ ამ „სამთა კავშირს" ისე ვუყურებდით და ვუყურებთ დღესაც, როგორც ერთს რაღაც ერთმანეთზედ მიკონკებულს საბელს, რომელსაც მარტო შემთხვევა ინახავს და რომელსაც ერთი მცირეოდენი დაჭიმვა ეყოფა, რომ ნაწილ-ნაწილ დასწყდეს და კვანძ-კვანძ დაიშალოს. არც ავსტრია და არც იტალია გერმანიას გულით არ მიჰკედლებია და თუ ჯერ ხანად ერთმანეთს მხარს აძლევენ,—ეს მარტო იმით აიხსნება, რომ ძალა აღმართსა ჰხნავსო. გერმანია დღეს ძლიერია, ღონიერია და საფრანგეთზე გამარჯვების შემდეგ ისეთის შარავანდედით მოსილია, რომ ძნელია კაცმა კალთაში ხელი არ ჩაჰკიდოს, საითაც შენ, მეც იქითაო. ესეა ეს ქვეყანა: ძალოვანი და ღონიერი საშიშარია ყველასათვის და შიში ხომ, რუსთაველისა არ იყოს, „შეიქმს სიყვარულსა". აი სწორედ ეს შიშით შექმნილი სიყვარულია იგი წებო, რომლითაც თავს იჭერს ჯერ ხანად ხსენებული „სამთა კავშირი".

ავსტრიას, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, ხელი დააბანინა გერმანიამ ევროპის დასავლეთში და პირი უბრუნა აღმოსავლეთისაკენ იმ იმედით, რომ იქ დაკარგული, აქ მოიპოვოს და შეივსოს. მეტი გზა არ იყო: დამარცხებული პრუსიისაგან ავსტრია უნდა დაჰმორჩილებიყო თავის სვებედსა და პირი აღმოსავლეთისაკენ ექმნა. დაჰმორჩილდა კიდეც, მაგრამ დიდის ტკივილითა და ეს ტკივილი გულში ხვანჯად აქვს დღესაც. ხოლო საქმე ის არის, რომ გერმანიის გავლენის გარედ დარჩნენ იმისთანა დიდი სახელმწიფონი, რომელთაც, თუ გაჭირდა და დრომ მოითხოვა, შეუძლიანთ ავსტრია ისევ დასავლეთისაკენ მიახედონ და უთხრან: მოდი ჩვენ დაგვიჯერე და ისევ დასავლეთისაკენ გაიწოდე ხელიო. ავსტრიისათვის, ჩვენის ფიქრით, ეს უფრო სანატრელია, იმიტომ-რომ—რაც გინდ იყოს—ჰაბსბურგის გვარეულობა, რომელიც პრუსიის გაძლიერებამდე ჰბატონობდა გერმანიაში და რომელიც მას შემდეგ თითქმის ეყმო თავის მორჩილს პრუსიას, ისევ თავის მამა-პაპეულს სახელსა და დიდებას ინატრებს, ვიდრე ახალს რასმეს ბალკანეთის კუნძულზედ. ეხლანდელს მდგომარეობას ევროპის პოლიტიკისას რომ ვხედავთ, ადვილად საფიქრებელია ავსტრიას ამით აუმაღლონ სალერღელი და აქედამ მისი გამოსვლა „სამთა კავშირისაგან" სულ ადვილი საქმეა, თუ ნამეტნავად ვინმე ძლიერმა რაიმე საფუძვლიანი თავდებობა აჩვენა. განა არა, ავსტრიაში, თითო-ოროლად და კანტი-კუნტად ამ გვარი ხმებიც ისმის წვრილ-ფეხობისაგან-კი არა, არამედ იმისთანა კაცთაგანაც, რომელთა სიტყვაც ეგრე ადვილად ძირს დასაშვები არ არის.

იტალიის ყოფნა ხომ „სამთა კავშირში" არას გზით მოსათავსებელი არ არის. აქამდინაც უკვირთ ყველას, რა ანგარიშია, რომ იტალია გერმანიას და ავსტრიას მიუდგაო. ამბობენ, რომ თუ ეს გვარი პოლიტიკა დღეს იტალიაში ასე თუ ისე მოქმედობსო, ეს საკუთრივ იტალიის მეფეს ჰუმბერტს უნდა მიეწეროსო, რადგანაც ამას არ უყვარს თურმე საფრანგეთი. იტალიის ერი-კი ძალიან სწუნობს ამ პოლიტიკას და ძალიანაც ემდურის ეხლანდელს სამინისტროს კრისპისას, რომ ასე წინდაუხედავად იქცევა. აქამომდე მთავარ-მინისტრი იტალიისა კრისპი როგორღაც ყურს იყრუებდა და ხმას ერისას ბევრს არას დასდევდა, მაგრამ ეხლა-კი, როგორც ეტყობა, საქმე გასჭირვებია და ერის გულის მოსაფხანად საჭიროდ დაუნახავს ტკბილი სიტყვა ეთქვა საფრანგეთისათვის. მართლადაც ამას წინად პარლამენტში საფრანგეთის გამო ისეთი საამური სიტყვა წარმოსთქვა, რომ გერმანიის გაზეთებმა ყურები აცქვიტეს და ალურსნენ. ზოგი გაზეთი გერმანიისა იქამდე მივიდა, რომ გმობა და ღალატიც-კი შესწამა იტალიას: განა არ ვიცოდითო, რომ იტალია მუხთალი მეგობარია და სანდო არ არის გერმანიისათვისაო.

ესეა თუ ისე, იტალიაში კარგა საგრძნობელი წინააღმდეგობაა კრისპის პოლიტიკისა. თითქმის ყველა გაზეთები, რომელნიც-კი დამოუკიდებელნი არიან, პირდაპირ გაიძახიან, რომ დიდი შეცდომა და ცოდვაა ჩვენის ქვეყნის წინაშეო, რომ საფრანგეთს გადვუდგეთ და გერმანიას კალთა დავუჭიროთო. ზოგნი იქამდინაც მიდიან, რომ სირცხვილად ჰხადიან იტალიისათვის გერმანიის აგრე ბატონად გახდომას და მის ნებაზედ ყურ-მოჭრილ ყმასავით ტარებას. არამც თუ გაზეთები, არამც თუ თვით იტალიის საზოგადოება თითქმის

ფელეტონი

ავტობიოგრაფია

„ურიადნიკისა"

(ძველის-ძველი ამბავი ბიჭიელა ურიადნიკის დღიურიდგან)

ვერაფერი დროებაა, მარა რას იზამ, უნდა იცოცხლო ქვეყანაზედ. სადაა ეხლა დაფასება კაცისა, სადღა ან ვაჟკაცობა გამოჩნდება? არსად, არსად, არ მოკვდეს ბიჭიელა! ცამეტი წლისა ვიყავი, რომ პირველად მამაჩემმა გადმომიყვანა კორტოხიდამ ქართლში და დამაყენა დიამბეგის ხელის მოსამსახურედ... ექვსი წელიწადი დიამბევთან გახლდით, ჩემო ბატონო, და იმისთანა ლაქია დავსდექი, რომე მთელი დედამიწის ზურგი რომ შემოგევლო, მაინც კიდე ჩემისთანა ლაქიას ვერ იპოვიდი. ქართლის თავადიშვილები თავ-გადაკლულები იყვნენ ჩემთვის: აპა, ბიჭიელა, მე დამიდექიო, მეუბნებოდა ერთი და თვეში წითელი ქაღალდი შენთვის მზად არისო. მეორე მაძლევდა ხუთმეტ მანეთს, მესამე ოცს, მაგრამ არ ვინდომე სოფლად ცხოვრება, დავკარი ფეხი და თბილის ქალაქში ამოვყავი თავი. იქ დავუდექი ლაქიად და პოვრად გალუსტა მიკირტიჩიანცს ორი წლის სამსახურის შემდეგ. ხელად ორი თანამდებობა ჩავიბარე. იმისთანა მდიდარი იყო ჩემი ხაზეინი, რომ თამაშოვის ქარვასლაც იმისი იყო, გაღმა რიყეზე ბაკები და რიყის პირზე ფურნე—ნახევარი ქალაქი იმისა გახლდათ, ჩემო ბატონო. ამტენი მამულის პატრონს მოურავიც უჭირდა და ერთი წლის შემდეგ ჩავიბარე მესამე ხელობა—მოურავობა...

მისთანად გამოვეწყვე, რომ ჩემთან ვინ იყო ან ქართლელი და ან კახელი თავადიშვილები... რომ ერთი გამოჰქიმული გავიელიდი ბაზარში და არსენასავით ყველას თვალებს გადუბრიალებდი—ყველანი შიშით კანკალებდნენ. ვისი შემეშინდებოდა, ტახტის აზნაურიშვილის ნაყმევი ვიყავი და თბილის ქალაქში რომ ჩამოვედი, ჩემი ბატონის გვარი გაფრინდია დავირქვი და დღეს ამ გვარით კაცი ვარ საქართველოშიდ—ურადნიკ ბიჭიელა კიკოლიჩ გაფრინდია, რომელიც მთავრობამ ჩემი ნასლუჟაშჩობა ხემწიფესაც ქე აცნობო, რომ: ტაკოი მალადეც ბიჭიელა კიკოლიჩ გაფრინდია კორტოხს აქეთ ნე ბუდეტო. მარა ეს არის უბედურება ამ დროში, რომ კაცის სლუჟბა არ ფასდება. ეს ვოენი აფიცრები რომ გაჩნდნენ, ძალიანაც იჭიმებიან. არ მოკვდეს ბიჭიელა, იმათ არ ჩამოუვარდე არც გვარიშვილობაში, არც თოფში და ხმალში, არც კიდო კავალრობაში და არც ვაჟკაცობაშიდ. ვინ იყო ჩემთან გალუსტ გეურქიჩ მიკირტიჩიანცი! პატარა მიკირტიჩიანცი დამარქვეს ქალაქშიდ. მარა გაუწყრეს ღმერთი ჩემი ხაზეინის ცოლს... დეიქცეს მისი ოჯახი, როგორც მე დამაქცია იმ თავს ლაფ-დასხმულმა...

ერთხელ დუქნის ქირები აეიღე, მიველი სახლშიდ. ხაზეინი მაღაზიაში გახლდათ და მარტოკა იყო ქალბატონი. შეველი გამოწკეპილი და მივართვი ფული ხაზეიკას... ულვაშებზედ ხელი გადავისვი და დავსდექი ისტე. შემომხედა ხაზეიკამ, დამაცქერდა ცბიერის თვალით, წამოვიდა ჩემსკე და მიპწკინა ლოყაზე. „რა ყოჩაღი რამ ხარ, ბიჭიელაო", და ახლა მეორე ლოყაზე მიბწკინა. ცოტა არ იყოს შევჩერდი, შევჩერდი, მარა მერე ვიფიქრე: ამას სალერღელი აჰშლია და რაკი პწკენაზეა საქმე, ახლა ჩემი ნახე-მეთქი. უბწკინე ქალბატონს, მიპწკინა იმან, უპწკინე მე, მიპწკინა იმან, უპწკინე მე, და ბოლო დროს ძუძუზე რომ უპწკინე, იკივლა და ჩამომეკონწიალა ყელზედ... ამ დროს ხაზეინი არ შემოსულა და აგერ გაჩერებულა კარებშიდ.

— ახტი რაზბონიკო! მომაძახა: ბიჭო, მომიტა სათულეო, მიაძახა ჩვენს პატარა ბიჭს...

— ტი სამ რაზბონიკ და მაშენიკო, მივაძახე მე და ვიშველიჭე ლეკური. მოფრინდა და გაექანა ცოლისკე: „ბიჭიელა ნუ მომკლავ ოღონდ და ჩემ ქონებას შენ დაგილოცამო".

ქე რას მოვკლავდი, მეშინოდა, მე არ მომკლანო. გამოვხტი ქუჩაში და გაუსვი რიყისკე. დერჟიო, დაიძახა დესეტნიკმა. კაკოი დერჟიო, შეუძახე: მე მიკირტიჩიანც უპრავლაუშჩ, ზა დელომ იდომ თქვა... მიმატოვა და წევიდა თავისთვინ... გამოვედი, ჩვენებურ მეპურე იმერლებთან დავყავი ორი კვირა და აქედამ მივწერე ბარათი სოსიკელას: „იცოცხლე-თქვა, ფული ბევრი გაშოვიოს-თქვა, კაი ცოლი, კაი ცხენი - თქვა , მარა ჩემი საქმე ვერაა კარგადა-თქვა"... „ვერაა კარგადაო, მომივიდა პასუხი: ამოდი და დადექი ბაღშიდო". წევედი, მარა ვაი იმ წასვლას. „ორი წელიწადი ვიყავი მებაღედ და მერე რკინის გზის სტოროჟობის ხელობა ჩავიგდე ხელშიდ... ერთხელ ჩვენებური აზნაურიშვილი ხოხოკია შემხვდა, დიდად ნამსახური ურიადნიკი გახლავთ, კაი ჯვრებისა, მენდლებისა და ტემლაკის პატრონი. გამიწყრა ხოხოკია, ჩემო ბატონო, ძალიანას გამიწყრა.

— მაგისთანა კაძახი, წამოსადექი ბიჭი ხარ, კაი თვალადი და ტანადი, ვეშაპს ქე გავხარო და სამსახურშიდკი არსად შესულხარო. წამოდი ჩემთანო, წამოდი ამ საათში, პირველი ჩაფარი გაგხადოვო. აპა თუ ურადნიკობას ჩაიბარებდი ოდესმე, ჩაფრად რავა არ დავსდგებოდი!!.

— ნეხაჩუ ვაში სლუჟბაო...მივაძახე სტანციის ნაჩალიკს, გამეველი რკინიგზის სამსახურიდამ და დავსდექი ჩაფრად. მოგეცესთ ღვთის წყალობა, მე ჩაფარი დავსდექი. რუსული კარგად ნასტავლი მქონდა და ქართული ხომ რალა მოგახსენოთ. იმისთანა ქართული ვისტავლე ანჩხატის ქუჩაში დიაკვანთან ხუთ მანეთად, რომე რაც უნდა წიგნი მოგეტანათ, ერთ წამს გადავაბურბულებდი. და ნუ, ნასტოიაჩი ჩაფარი გახლდით. საქმე სჭირდა სადმე და მაშინათვე ნაჩალნიკი მომიკითხავდა: ნუ, პაზავი ბიჭიელა გაფრინდაო. ნედოიმკა იყო სადმე ასაღები ხალხიდამ, ზეკუცია, მისთანად ერთგულად შევასრულებდი, რომე ერთი ქათამიც-კი აღარ დარჩებოდა სოფელში, სულ ბდღვირს ავადენდი. ეხლა ისე ერთგულად თითქმის ველარ ვასრულებ ზე-

ყოველ კრებაზედ, თვით იტალიის სახელმწიფო საქმეთა კაცნიც-კი სჩივიან და ესაყვედურებიან ენგლანდელს სამინისტროს, რომ გერმანიას ასე ჩააგდებინეს ხელი იტალიისათვის და ასე ჩაათრევინეს.

ეხლა გამოსულა ბროშიურა გრაფის გრეპპისა ამ გერმანიის და იტალიის კავშირის თაობაზედ. ეს ბროშიურა სხვათა შორის იმით არის შესანიშნავი და საყურადღებო, რომ გრაფი გრეპპი რუსეთში ნამყოფი იტალიის ელჩად და მაშასადამე მის აზრსა და სიტყვას ამ მხრით ფასი უნდა დაედვას იტალიაში. იგი ამბობს, რომ დიდი შეცდომაა ჩვენგან გერმანიასთან ერთად ყოფნაო. 1870 წელს რომ ომი იყო გერმანიასა და საფრანგეთ შორისაო, ეს სახელმწიფო სახელმწიფოს-კი არ ეომებოდაო, არამედ თესლი თესლსაო, ტევტონები ლათინებსაო. ამიტომაც გერმანიის გამარჯვება საფრანგეთზე უნდა მიღებულ იქმნას ტევტონების გამარჯვებად ლათინებზედაო. ჩვენც, იტალიელნი ლათინები ვართ თესლით და შთამომავლობით და საფრანგეთიცაო და ამიტომაც დამარცხება, თუ გამარჯვება საფრანგეთისა ჩვენი დამარცხება, თუ გამარჯვება უნდა იყოსო. ეხლა იტალია რომ მხარს აძლევს გერმანიას, ეს ძმის ღალატს მოასწავებსო და თუ გერმანია ომს აუტეხს საფრანგეთსა, მაშინ ხომ იტალიის მომხრეობა სხვა არა იქნება-რა გარდა იმისა, რომ ჩვენ ძმის სისხლი უნდა ვღვაროთო გერმანიის სასარგებლოდაო. გრაფი გრეპპი ეუბნება თავის ქვეყანას, გერმანიასთან საერთო არა იქონიოს-რა და სამთა კავშირს დაეთხოვოსო. იგი ურჩევს, რუსეთთან დაახლოვებას, იმიტომ-რომ რუსეთს იტალიასთან გასაყოფი და საძიძგილაო არა აქვს რაო და თუ გამორჩომაა რამ, აქ უფრო ბევრს გამორჩება იტალიაო, ვიდრე გერმანიასა და ავსტრიასა, რომელიც ადრიატიკის ზღვაზედ მოპირისპირეა იტალიისაო.

ამ ამბავებმა ძალიან შეაწუხა თურმე გერმანია და ამბობენ, რომ გაფიცხებულ ჰერბერტს ბისმარკს ცხარე ლაპარაკი ჰქონია ამის გამო იტალიის ელჩთან. ელჩს გაუნელებია ცოტად თუ ბევრად აფიცხება ჰერბერტისა და მისი ამ ამბებისაგან ნატკენი გული დაუშოშმანებია. ყოველივე ეს დროთა ნიშნებია და ვგონებთ თვალ-საჩინო დასაწყისია „სამთა კავშირის“ მოსალოდნელ დასასრულისა.

◆

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყეთ ფრიად სამწუხარო ამბავი: ბ-ნს ილია წინამძღვრიშვილს, რომელმაც მთელი თავისი მხნეობა და შეძლება თითქმის ზედ შეალია წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის არსებობას, მთლად დასწვია საკუთარი სახლი წინამძღვრიანთ-კარშივე, იგი სახლი, სადაც თვითონ და მისის სკოლის მასწავლებელნი იდგნენ. სახლი სამზღვევად შეტანილი არა ყოფილა. ზარალი ათას თუმანს აღემატებაო. არ ვიცით, ბ-მა წინამძღვრიშვილმა ამ დიდს უბედურებას გაუძლოს, თუ მის მიერ არსებულის სკოლის თაოსნობას და პატრონობას. რას იზამთ? ბედია მაყივნებელიო, ნათქვამია. რაღა ეს უნდოდა ბ-ნ წინამძღვრიშვილს!..

⁂ სამწუხარო ამბავს გვწერენ ქუთაისიდგან: ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გამხდარა ავად ფილტვების ანთებით. ეს ხუთი თუ ექვსი დღეა, რაც ავად არის თურმე მისი მეუფება. სიცხე დასაწყისში 40° ჰქონია, ხოლო კვირას, 10 დეკემბერს, 38-მდე დაუწევია. ყოვლად სამღვდელოს სწამლობს ექიმი ს. თოფურია.

⁂ ყველაზე საყურადღებო საგანი საბჭოსი ორშაბათის კრებაზე, 11 დეკემბერს, იყო საჩივარი იოგან რიხტერისა, სასტუმრო „ლონდონის“ პატრონისა. რიხტერი სჩიოდა სატრაქტირო დეპუტაციის უკანონო მოქმედებას, რომ შვიდასი მანათი შემოაწერეს წლიური გადასახადი და ისე გვიან მომაქციეს სიაში, რომ აღარ შემეძლო საჩივარი შემეტანა და შემემცირებინა გადასახადიო. რიხტერის საჩივარი მეტად გრძელი იყო და ჩვენ ორიოდე სიტყვით მოგვყავს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საჩივრის გამო ასტყდა საბჭოში მეტად საგულისხმიერო ბაასი შესახებ სატრაქტირო დეპუტაციის მოქმედებისა. კანონის ძალით, მეტრაქტირეებს უფლება აქვთ ამოირჩიონ თავიანთ შორის დეპუტაცია, რომელიც შემოსავლისადა გვარად შეაწერს ხარჯს სასტუმროებისა და ტრაქტირების პატრონებს. თუ უკანასკნელნი დაინახავენ, რომ დეპუტაციამ უსამართლოდ შეაწერა ხარჯი, უნდა საჩივარი მიართვან თვით დეპუტაციას, რომელსაც შეუძლიან შეიწყნაროს ან არ შეიწყნაროს ეს საჩივარი. ერთის სიტყვით, დეპუტაცია თვითონვეა მოსამართლე თავის მოქმედებისა. არც ქალაქის საბჭოს, არც გუბერნატორს და არც სხვას არ შეუძლიან დაარღვიოს გადაწყვეტილება მთელის დეპუტაციისა.

ასეთი უფლება აქვს სატრაქტირო დეპუტაციას და ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა მათი ამორჩევა. როგორც საბჭოს კრებაზე აღმოჩნდა, ტფილისელები მოტყუებულან წრევანდელის დეპუტაციის არჩევანით. ჯერ გაუწერნიათ თურმე ფული ყველაზე და მათ შორის თავიანთ სასტუმროებსა და ტრაქტირებზედაც. შემდეგ ყოველ დეპუტატს მიურთმევია თხოვნა დეპუტატთა კრებულისათვის, რომ ბევრი შეგვიწერნიათო. დეპუტაციას შეუწყნარებია ყოველ თავის წევრის თხოვნა და შეუმცირებია ყველასთვის გადასახადი სამოც-და-ათ პროცენტამდე, ე. ი. რომელ მათგანსაც ათი თუმანი ჰქონია გადაწყვეტილი, იმისთვის მარტო სამი თუმანი შეუწერიათ. როდესაც ერთის დეპუტატის თხოვნას არჩევენ თურმე, ის დეპუტატი გარედ გამოდის და დანარჩენნი გადასწყვეტენ იმის თხოვნას. შემდეგ ის დეპუტაციაში შედის და ახლა მეორე დეპუტატი გამოდის გარედ, რომ იმისი თხოვნა შეიწყნარონ. ამ სახით ყოველ დეპუტატს შეუმცირეს გადასახადი და მათი ხვედრი სხვებს შეაწერეს. ეს ისეთი უკანონო საქციელია, რომ საბჭოში თქმაც იყო — დეპუტაცია სისხლის სამართალში იქმნას მიცემული ასეთის მოქმედებისთვისაო. მაგრამ ბოლოს საბჭომ აღარ ისურვა, არ ვიცით-კი რად, ასეთი სასტიკი ღონისძიება და რიხტერს უარი უთხრა საჩივარზე, რადგან დეპუტაცია არ ექვემდებარება საბჭოსაო და ამასთანავე ხარჯი 700 მანათი შედარებით „კავკაზის“ სასტუმროს, ხარჯთან, რომელიც 800 მანათს იხდის, ბევრი არ არისო.

⁂ ტფილისში მთელი დასია თურმე შემდგარი ჯიბგირებისა, რომელნიც დიდის მოხერხებითა და უნარითა ჰმოქმედებენ. ამას წინად, მაგალითებრ, ქალაქში ჩამოსულა დირბელი მირაქოვი, რომელსაც იჯარები აქვს აღებული განჯის გუბერნიაში, და მისულა თავის დისწულ ნ. მალაკელოვთან, რომელსაც იარმუკაზედ დუქანი აქვს და რომლისათვისაც ადრევე შეუტყობინებია, რომ მოვდივარ და ასი თუმანი ფული მომაქვსო. აქედგან ჯიბგირებსაც შეუტყვიათ, ერთი მათგანი, ნაურიალი მიხეილ აბრამაშვილი, სულ ერთის კვირის გამოშვებული ციხიდგან, აჰკიდებია მირაქოვს, ორი დღე იმის ხარჯით უქეიფნია, მერე აბანოში წაუყვანია, უთქვამს, რომ „ბიძავ, სიერთო საბანებელში შევიდეთ, იაფად გამოხვალო“, და ბანაობის დროს, როცა მირაქოვი პირს იპარსავდა თურმე, გამოსულა, ამოუღია ოთხმოცი თუმანი «ბიძიას» ჯიბიდგან და გაუკურცხლავს. ეს ნაურიალი უკვე დაპატიმრებულია და საპატიმროში გაგზავნილი.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ფოსტის გამცარცველი ოსი ხანიკაშვილი, დაჭერილი თავ. ჯანდიერის მიერ, გაექცა პოლიციას ცხინვალის საბოქაულოში, როდესაც ადმინისტრაცია და თვით ხანიკაშვილი იყვნენ მღვდლის ქოქოშვილის სახლში. შემდეგ ხანიკაშვილი კვლავ შეიპყრო ადმინისტრაციამ და დღეს ხომ საპყრობილეში ზის. მაგრამ იმისმა გაქცევამ ბევრი ეჭვი, ფიქრი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და აგრეთვე თვით ადმინისტრაციაშიაც. სხვათა შორის დიდი ეჭვი აიღეს თვით მღვდელ ქოქოშვილზე და ჰფიქრობდნენ, ვითომც ამ მღვდელმა მოუხერხა გაქცევა ხანიკაშვილსაო. ასეთი ეჭვი შეატყობინეს საქართველოს ეგზარხოსს პალადის, რომელმაც მაშინვე გადააყენა ქოქოშვილი მღვდლობისაგან. ამასთანავე ქოქოშვილი სისხლის სამართალში იქმნა მიცემული. გამოძიება სწარმოებდა ბ ნ გუბერნატორისა და სხვა ადმინისტრატორების ხელმძღვანელობით. ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ გამოძიება გათავებულა და მამა ქოქოშვილი უცვნიათ სრულებით უდანაშაულოდ. როგორც ისმის, ეს ამბავი უცნობებიათ მის ყოვლად უსამღვდელოესობისთვისაც. ეხლა გადაყენებული მღვდელი ქოქოშვილი სთხოვს სასულიერო მთავრობას, რომ იგი კვლავ მღვდლად იქმნას ჩარიცხულიო.

⁂ ჩვენ ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, რომ ქართულ დრამატიულს კომიტეტს კრება აქვს დანიშნულიო. აი ამ კრებაზედ ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარეს წარუდგენია მმართველობისათვის გასასინჯავად და დასამტკიცებლად შემდეგი საყურადღებო წინადადება, რომელიც ახალ პიესებისათვის ჯილდოს დანიშვნას შეეხება.

1) ახალ ქართულ პიესებისათვის დაინიშნოს ორი ჯილდო: ერთი ოცი თუმანი და მეორე თორმეტი თუმანი.

2) პიესა უნდა იყოს ახალი, ე. ი. ისეთი, რომელიც არა ყოფილა წინად წარმოდგენილი და ან გასინჯული დრამატიულ საზოგადოებისაგან.

კუციის თანამდებობას, როგორც მაშინ ვასრულებდი. მალადეც და მალადეც, მალადეც ბიჭიელას, მომაძახებდა ნაჩალნიკი. მარა, განა მარტო ნაჩალნიკი მომძახოდა, ჩემი თავიც სულ მალადეც და მალადეცს მეუბნებოდა.

გაჩნდა თვარა ვოენობა, ჩავეწერე ახოტნიკად და წავედით ყარში. მოგეცესთ ღვთის წყალობა, რომ იქაც გამოვიჩინე კაი ვაჟკაცობა და კაი გეორგიევის ჯვარიც მივიღე. აგერ გადმომდგარან თათრები და მოუშვერიათ ზარბაზნები, გაუდისთ დრიგინ-დრიგინი. ნაურავო, დაიძახეს. ნაურაო და გადავხტი წინ, მომყვა კოკოხიაც და გავბზრიალდით. მოგვაყარეს ტყვია ჩეჩქივით. მოხვდა ტყვია კოკოხიას, ღმერთმა აცხონოს, რომ არ მომკვდარიყო, ურადნიკობას არ მომცემდნენ, ჩემო ბატონო, და გაბზრიალდა. აგერ გარბის ერთი ოსმალელი. „გაჩერდი-თქვა, შეუძახე: ქვეყნის მუხანათო-თქვა, დავატაკე ცხენი და ვშველიპე ხმალი. ჩამოვაგდე ცხენიდამ. უყურო გარბიან ეს ოსმალელები და სადღაა იმათი ზარბაზანი?! გადუტრიალე ერთს თვალები, გადმომიგდო თოფი. დაყარეთ იარაღი-თქვა! ასთე ოც კაცს ავყარე იარაღი და, ნუ, რაღა იქნებოდა, მაშინათვე მომიკითხა პოლკოვი კამანდერმა..-

— ნუ მალადეც, გაფრინდია, ტებე პალკოვნიკ მალო დატ, ხაროში დერენალ ბუდეშო და ნა ტებე ტემლაკო. კნიაზ, ალი დვორენინო? მკითხა პალკოვი კამანდირმა.

— დვორიანსკი ნაყმევი - თქვა, ა სამ პერვი გაფრინდია-თქვა. აპა, მარა მეთხრობაა. დვორენინი გახლდით და ახლა ხომ ვარ და ვარ. ოჰ, ოჰ, რა ქალები ჰყოლოდა!.. მერეც დამიბარა თავისთან თბილის ქალაქში: ოჰ, ოჰ, დედა, დედა, დედა. მისთანა იყო ერთი, ნამეტანი იყო, სწორედ გერიტი იყო. დამაცქერდა მისთანად, რომ დავდნი კაცი. ქე უნდოდა პალკოვნიკს ჩემი დასიძება, მარა არაფერი მითხრა და მეც ვერაფერი გაუბედე. ასთე, ჩემო ბატონო, და ჩამოვედი არდაგანში და პირდაპირ დავკარი ქუთეისში ტელეგრამა: ‹ეგ ბიჭი გახლავართ ბიჭიელა-თქვა და ვაი ჩემს მტერს, თუ ერთი ქუთეისში დავბრუნდი-თქვა›. „მალადეც, მალადეცო“, მომივიდა პასუხი...

ჩორტ იო ზნაი, ყველგნით მალადეც, მალადეც მესმოდა, მომწყინდადა. ეხლაც კიდევ რომ გავიარო ბაზარშიდ, ქუჩის ბიჭები კიდოვ მეძახიან: „მალადეც, მალადეცო“, და „სპასიბაო“, ვეუბნები. მომწყინდა ამდენი ქება, მარა, რა იქნება, ხომ არ გაველაწძლავ, სპასიბო და ბლაღოდარუ-თქვა... ახლა იმერეთშიდ ჩავედი: ერთი დღე ჩამოვხტი სამტრედიაშიდ და გამოჭიმული დავდიოდი ურადნიკის პაგონებით ბაზარშიდ და დაუყენე თვალი ჩემს მტრებს... ერთი ვიცხა ოხერი გამოჩნდა იქანა. რომ არ გავიარე,

— აპა, ბრაწ შენაო, მომახალა კაცმა: დადიანი არ ხარ, შვილო, და დადიშკელიანიო, კარგად ვიცი, რა ძალიანას მეჭიმებიო, და მომაყოლა კიდევ ბრანწი.

— აპა შე გლახავ, შენ, მაგას როგორ მიბედავ კეთილშობილ კაცსა-თქვა, ვიშველიჭე ხანჯალი და მივესიე. აგერ გადმოხტა სხვა და დამიკავა, თვარა, მოგეცეს ღვთის წყალობა, დავკუწავდი ისთე, რავაც გალუსტ მიკირტიჩიანცთან ავკუწამდი საკატლეტე ხორცს... შეუძახე მაშინათვე გარადოეს: „ნუ დერჟი ელო პოლიცია-თქვა, მაშენიკ-მეთქი, აბიდას მიშვრება კეთილშობილს კავალერს-თქვა, და წაათრიეს უბედური უჩასტკაშიდ...

იმერეთშიდ დადიშკელიანები და დადიანები ისთე მიცქეროდნენ, რომ თითქოს იმათი სიძე ვიყავი და იმედიც ქე ჰქონდათ: ბიჭიელა არა, ჩვენს ქალს ითხოვს და არა, ჩვენსაო, მარა კაცი არ მომიგზავნეს და მეც თუ არ შემეხვეწებოდნენ, რუსის ჩინოვნიკი კაცი რად ვიკადრებდი მე დადიანის და დადიშკელიანის ქალის შერთვას... წამოვედი იქიდამ და დღესნამდის, კაცო, ვარ საქართველოშიდ. ბარე ოთხი ნაჩალნიკი გამომიცვლია, მარა, თუ მართალს ვიტყვით, ერთიც-კი არ იყო კაი კაცი იმათში. წინა-პირველად რომ მოვიდოდნენ, იძახოდნენ: მე, ასტე ვიზამ, მე ისტეო, მე სხვა კაცი ვარ, არ ვგავარ თქვენ წინანდელს უხეირო ნაჩალნიკებსაო, მარა მერე მორბილდებოდნენ ხოლმე, კაი ნამცხვარი ნაზუქი და გატუსული გოჭები რომ მოუვიდოდათ ფეშქაშად! ღმერთმა ცოლ-შვილი უცოცხლოს, მე მაინც: „მალადეც“, „მალადეცს“ არ მაკლებდნენ და აპა რას დავსდევდი. კიდევაც შევაგულიანებდი გაჭირებულ კაცს, ნაჩალნიკი ნახე ჩუმადა-თქვა, ვეტყოდი.

ახლა ვიღაც პოლაკი მოთრეულა. ცოტა ეგ ვერა მხედავს კაი თვალზედ. მაგას რა ჰგონია, მაგ უბედურს, მაგის მეტი ნაჩალნიკი თუ არ უნახავს ბიჭიელას?! ყველა ჩინოვნიკებს ქე შეუტია: „ტი ვორო! დაუყვირა ერთს; ტი მაშენიკ-რაზბონიკო! მეორეს. მომიბრუნდა მე: «ტი ხტო ტაკოიო?»

— ია პერვი ნასლუჟაშჩი ჩელოვეკ, ბიჭიელა კიკოლიძ გაფრინდია. პირველი ურადნიკი კაცი-მეთქი, რომელიც დიდი ნამსახურობა გამიწევია. პირველად ვიმსახურე გალუსტ მიკირტიჩიანცთან ჯერედ ორს ხელობაშიდ და მერმედ მესამე ხელობაშიდ-სთქვა და იმას წინედ კიდევ ქართლშიდ დიამბეგთანა თქვა, და პატომ ბაღშიდ, მებაღედ, და კიდევ პატომ ჩაფრად, რომელიც ახოტნიკად ჩავეწერე ყარსშიდ, და პასლედნი ვრემია ურადნიკადა-თქვა. ყოველი ზეკუცია, ესიაკი სლუჟბა, ბეგარა აქვთ თუ იქით ჩესტნად, აკურატნად შემისრულებია-თქვა. ჩეტირე ნაჩალნიკი გამისტუმრებია, რომელიც მუდამ: მალადეც, მალადეცს მეუბნებოდნენ და მეხუთე შენ მობრძანდი და დიდხანს ქე გვიცოცხლოს თქვენი თავი-თქვა.

— ისენი მალადეცს გეუბნებოდნენ და მე ოჩენ მალადეცს გეტყვიო: „ოჩენ მალადეც და ოჩენ მალადეც“, მომაძახა პოლაკმა ნაჩალნიკმა, დამკრა მხარზე ხელი, მარა მერე სხვა ნაირად გადმომხედა. მარა კიდევ მადლობა ღმერთს, კაცი ვარ საქართველოშიდ. მაინ და მაინ ჩემი სამსახური გამოჩნდება ერთ დროსაც იქნება, ქვეყანა გაიგებს უკეთ ყოველივეს და... ჩემს მტერსაც დაუდგება თვალი!

ვაჟა-ფშაველა

3) დასაჯილდოებლად წარმოდგენილი პიესა ორიგინალური უნდა იყოს, მხოლოდ სიუჟეტი მწერალმა შეიძლება უცხო ქვეყნის პიესიდგან აიღოს, ისე-კი, რომ ეს სიუჟეტი ჩვენს ცხოვრებას შეეფერებოდეს. ის პიესა, საიდგანაც სიუჟეტი იქნება აღებული, ადრევე უნდა დაასახელოს მწერალმა.

4) პიესის სიუჟეტი შეიძლება ნამდვილ ცხოვრებიდგანაც იყოს აღებული, მხოლოდ ისე-კი, რომ კერძოდ არავინ იქმნას შეურაცხყოფილი და საზოგადოებამ არ იცნოს სცენაზე გამოსული მომქმედი პირი.

5) პიესაში ქართული ცხოვრება უნდა იყოს დახატული და უმთავრესნი მომქმედნი პირნი ქართველნი უნდა იყვნენ და არა სხვა ტომისანი. თუ იმერელი, მეგრელი, ხევსური, ან სხვა ისეთი ქართველი იქნება გამოყვანილი, რომელთაც განსაკუთრებული კილო აქვთ, ეს კილო არ უნდა იყოს დამახინჯებული, ან სასაცილოდ აგდებული.

6) პიესას არ უნდა ემჩნეოდეს, რომ უკვე დაწერილ ქართულ ან უცხო ქვეყნის პიესის მიბაძვაა.

7) პიესა შეიძლება კომედია იყოს, დრამა, ტრაგედია, სცენები, ისტორიული ან ეხლანდელ დროისა და სხვ., ვოდევილსა, ანუ ფარსს გარდა.

8) პიესა უნდა შეიცავდეს 3 მოქმედებაზედ არა ნაკლებს და 15 მომქმედ პირზედ არა უმეტესს.

9) შიგ ისეთი სცენები უნდა იყოს ჩართული, რომ ახალი ძვირფასი დეკორაციები და ტანისამოსი ან სხვა ამ გვარი ძნელად მოსახერხებელი სასცენო მოწყობილება არ უნდოდეს.

10) პიესა უნდა გამოეგზავნოს დრამატიულს საზოგადოებას (იმის თავმჯდომარის თ. გიორგი თუმანიშვილის სახელობაზე, ტფილისს, ბარიატინსკის ქუჩაზე; სახლი № 8) ორს დაბეჭდილ კონვერტად. ერთში უნდა იყოს პიესა ავტორის პსევდონიმით, მეორეში უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი გვარი ავტორისა და პსევდონიმი გამოაშკარავებული. მეორე კონვერტი მხოლოდ მაშინ იქმნება გასინჯული, თუ პიესა კარგი და ჯილდოს ღირსი აღმოჩნდა.

11) პიესები წარმოდგენილი უნდა იქმნას მომავალ პირველ ღვინობისთვემდე.

12) პიესებს დრამატიული საზოგადოების მმართველობა განიხილავს იმათ თანადასწრებით, რომელნიც მწერლობისა და სცენის მცოდნეთ ითვლებიან, ან შეიძლება მმართველობამ პირდაპირ იმათ მიანდოს პიესების დაფასება.

13) თუ პიესა ჯილდოს ღირსად იქმნა ცნობილი, მმართველობამ დაწერილებით უნდა გამოაცხადოს იმისი ღირსება და ნაკლულევანება. ასე უნდა მოიქცეს მმართველობა იმ პიესების შესახებაც, რომელნიც თუმცა მოეწონება ჯილდოს ღირსად ვერ იცნობს, მაგრამ, იმის ავტორს-კი სასცენო ნიჭს შეამცნევს.

14) ჯილდოს მიცემის დროს ავტორს ხელ-წერილი უნდა ჩამოერთვას რომ ის თავის პიესის წარმოსადგენად საზოგადოებისაგან ანუ მოთამაშეთაგან სასყიდელს არ მოითხოვს და რომ ის პიესა საზოგადოების საკუთრებას შეადგენს.

⁂ თელეთი: ჩვენს თელეთსაც ეწვია „ინფლუენცია“. ზემო და ქვემო თელეთის მკვიდრნი ბევრნი არიან ამ ახალ-მოდის სენით ავად. კიდევ კარგი, რომ მიწის მუშაობას ცოტად თუ ბევრად მორჩნენ და სახლში შეიტანეს საზამთრო სარჩო, თორემ ცუდი დღე დაადგებოდათ. ამ სატკივარს ჩვენში ჯერ არავინ უმსხვერპლია, თუმცა ავადმყოფები არაფრითა სწამლობენ თავს და ერთად-ერთი ამათი სახსარი ის არის, რომ ოფლს იდენენ და თავს არ იციებენ.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გურია, 10 დეკემბერი. ამ ჩვენს აშენებულს გურიაში ცოტა ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ სოფლის ცხოვრებაში: აქ იყო ეგზეკუცია, დაწესდა სათემო დარაჯთა რაზმი, „ზემსკაია სტრაჟა“, რომელიც ეხლაც არსებობს, ხმარებულ იქმნა სხვა-და-სხვა დასასჯელი ზომა და ბოლოს არჩეულ იქმნენ თითოეულს საზოგადოებაში ცალკე ხევისთავები. ყველა ეს მთავრობამ ითავა, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ ავ-კაცობა, ქურდობა, ძარცვა გლეჯა, ყაჩაღობა და სხვ. მოსპობილიყო. ეჭვი არ არის, ამ ნაირი მოქმედება მთავრობის საქმე არის: მთავრობა ყოველ ღონის-ძიებას ჰხმარობს, დააწყნარ-დაამშვიდოს და გაადვილოს სოფლის ცხოვრება, დაიცვას სოფლის მუშაკს თავისის ოფლით შეძენილი ქონება და სხ. აბა ვინ არ იცის, რომ მიწის მუშაკის უმთავრესი ძალა და ღონე პირუტყვი და ბურულია და თუ მუშაკი ყოველ წუთს მოელის პირუტყვის დაკარგვასა და ბურულის დაწვას, რაღა გთიღეი უნდა დაეყაროს იმის ცხოვრებას.

აბა განვიხილოთ, რამდენად არგებს ზემოხსენებული მთავრობისაგან ნაღონი ღონე საქმეს და რა მალამოდ დაედება სატკივარს.

ეგზეკუცია ხალხის სასჯელია, გამოწვეული, რასაკვირველია, განსაკუთრებულის ბოროტ-მოქმედებით, რომლის რიცხვი ჩვენში ერთი და ორი არ არის: თითქმის მუდამ დღე ძარცვა-გლეჯა შუადღეზე და შუაღამეზე, ფოსტის გაძარცვა და სხვანი, ასე რომ უთუოდ განსაკუთრებული სასჯელი უნდა დაწესებულიყო, თუ მთელის გურიისთვის არა, ერთის ნაწილისთვის მაინც, და აკი ჩაუყენეს კიდეც ეგზეკუცია. რაც შეეხება ავ-კაცობის მოსპობას, ეგზეკუციამ ეს ვერ უნდა შეიძლოს, რადგან ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ამ ღონეს ასეთი სიკეთე მოეტანოს სადმე.

ვერც სათემო დარაჯობა გააწყობს რასმე: დარაჯი ერთი დაიარაღებული ადამიანია, ჭირის-კაცი, მეტი არაფერი, და თუ გამოადევნეს ყაჩაღს, ან სხვა ავკაცს, გამოეკიდება და რამდენსაც მოახერხებს, ეომება, ან მოჰკლავს, ან შეაკვდება. თავის თავად ის ვერას გააწყობს და რასაც უბრძანებენ, ის უნდა შეასრულოს. ერთად-ერთი მნიშვნელობა დარაჯს ის აქვს, რომ მუდამ ყამს მზად და შეთოფ-იარაღებული უნდა იყოს და საჭიროების დროს პოლიციას სამებრად არა ჰყავდეს ყაჩაღის თავზე დასაცემად კაცი.

ხევისთაობა განსაკუთრებული არაფერია, იგი სოფლის საზოგადოების წარმომადგენელია, მცირე სოფლის ერილობა. როდესაც სოფლის ერილობა არჩევს და სწყვეტს რასმე, უმეტესობა იღებს მონაწილეობას. ხევისთაობა-კი რამდენისამე კაცისაგან შესდგება, ე. ი. მცხოვრებლების უმცირესის ნაწილია არჩეული საზოგადოებისაგან.

ამ ხევისთავებს მინდობილი აქვთ: თვალ-ყური ადევნონ ავ-კაცობას და შემჩნეული ავი კაცი და მისი შემნახავი ადმინისტრაციას წარუდგინონ დასასჯელად და სხვანი. ერთის სიტყვით, ამ ხევისთავებს იგივე უფლება აქვთ, რაც სოფლის საზოგადოებას დაარსებიდგანვე ჰქონია. უპირატესობა თუ აქვს რამე ხევისთაობას, მხოლოდ ის, რომ რამდენსამე კაცს უფრო საჩქაროდ შეუძლიან ერთად თავის მოყრა, მოლაპარაკება, ამა თუ იმ ზომის მიღება და სხვანი, ასე რომ მხოლოდ სიჩქარეში აჯობებს ხევისთაობა საზოგადოებას. მაგრამ ამასთან ერთი დიდი ნაკლულევანებაც აქვს: ერთი ან ორი კაცი ისე ადვილად ვერ დაატრიალებს მთელს ერილობას, როგორც რამდენსამე კაცს, და თუ ხევისთავებში გარეულ იქმნა ისეთი ვინმე, რომელიც პატიოსნებით საეჭვოა და ჭკუა-გონებით სქელი, მაშინ ძალიან საშიში საქმე გამოვა. ასეთი ცოდვა მთელს ერილობასაც ემჩნევა ხანდახან და მით უფრო საშიშია რამდენისამე კაცის ხელში საქმის ჩავდება. ავ-კაცობის მოსპობის წინააღმდეგ თუ ამდენი ხანი უძლური იყო თვით საზოგადოება, რაღა თქმა უნდა, ვერც იმისი რამდენიმე წარმომადგენელი გაარიგებს რასმე.

ზემო თქმულით მე ის არ მინდა დავამტკიცო, რომ ვითომ მთავრობასა და მცხოვრებლებს შეერთებულის ძალით არ შეეძლოთ ავ-კაცობის შემცირება, არა, პირ-იქით, დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა და სამთავრო შეერთებულის მეცადინეობით დიდს საქმეს გააკეთებენ ავ-კაცობის მოსასპობლად ყველგან და ყოველთვის. მხოლოდ საქმე იმაშია, როგორ და რა გზით უნდა იმოქმედონ, რომ სარგებლობა მოიტანონ.

დღემდე ჩვენი საზოგადოება არა თუ არას ზრუნავს თავისის სიკეთისათვის და ავ-კაცობის მოსპობას არ უწყობს ხელს, არამედ ამრავლებს კიდეც სხვა-და-სხვა სახის ცუდ-კაცობას, მაგალითად აიღეთ თუნდა სოფლის მოხელეების სხვა-და-სხვა გაიძვერობა და ხრიკი. არა ჰზრუნავენ, არა იმიტომ, რომ ან არ შეეძლოთ და ან არ უნდოდეთ, არა, უნდათ და შეუძლიანთ კიდეც, მაგრამ აქ სხვა მიზეზია: საქმესთან ვერ არის კაცი შებმული, ვერ არის იმ გზაზე დაყენებული, რომ მეზობლის ზარალიც თავის ზარალად მიაჩნდეს, ანუ თუ მიაჩნია, რაიმე შემწეობა მისცეს მეზობელს. ხშირად არა თუ მეზობელს, თავის თავსაც ვერა ჰშველის მაშინაც-კი, როდესაც ნამდვილად იცის, რომ ჩემი ცხენი თუ ხარი ამა-და-ამ კაცის მოპარულია, ან-კი რა ჰქნას თუ გამოუდგა და ზდია საქმეს, ერთი იმდენი ხარჯად არა ჰყოფნის და ბოლოს გაიმარჯვებს თუ არა, ისიც ვინ იცის. ხშირად ხარჯსაც გასწევს, საშიშარ მტერსაც გადიკიდებს და ვერაფერსაც ვერ გაარიგებს. ამიტომაც ჩვენში ქურდობის საქმე ძალიან ხშირად მორიგებით თავდება, სამსაჯულომდე მოუწევნელად.

თავის საქმეში ასე ემართება და სხვის ზარალს რაღა ყურს უგდებს, რომ იცოდეს კიდეც მავნე კაცი, რაც ჩვენში ხშირი ამბავია. ვიცი მე, მაგალითად, ვინ დაუწვა სახლი ჩემს მეზობელს, მაგრამ სიჩუმის მეტი რა გამეწყობა: თუ ვსთქვი, ამა-და-ამ კაცმა დასწვა ჩემის მეზობლის სახლი მეც, იმას გარდა, რომ შეიძლება ვერაფერი დავაკლო, მომელის იგივე შიში, რაც ჩემს მეზობელს მიადგა. ეს ერთი. მეორე — მაბეზღარია, მედანოსე არისო, იტყვიან და ეს, ხომ მოგეხსენებათ, საქებური არსად არ არის და არც ჩვენში იქნება უთუოდ. საქმე იმ ნაირად უნდა იყოს მოწყობილი, რომ არც მაბეზღარი დაერქვას ბოროტების მდევნელს და არც ამ მდევნელის ქონება ჩავარდეს განსაცდელში. ამასთან თითოეული წევრი საზოგადოებისა იმ ნაირად უნდა იყოს შებოჭილი, რომ მუდამ ყამს გაღვიძებულად სთვლიდეს თავის თავს სდევნოს ყოველი ავ-კაცობა და მავნეობა, სულ ერთია, თითონ იქნება დაზარალებული თუ იმისი მეზობელი.

ამიტომ, ჩემის აზრით, არ იქნება უსარგებლო ჩვენის სოფლებისათვის, რომ თითოეულ საზოგადოებაში წოდების განურჩევლად ურთიერთი თავდებობა (круговая порука) იქმნას შემოღებული. რა ზარალიც უნდა შეემთხვას იმ სოფლის მკვიდრს, მოპარვა იქნება, თუ ძარცვა, დაწვა, თუ სხვა, სრულიად უნდა მიეზღოს დაზარალებულს: სოფლის ყველა მკვიდრს ცალკედ და საერთოდ მთელს საზოგადოებას უნდა გადახდეს ზარალი. როცა ასე იქნება საქმე დაყენებული ფიქრი და შიში აღარავის ექნება საქონლის დაკარგვისა, დაწვისა და სხ., უფრო თამამად და უშიშრად მოეკიდება საქონლის ყოლასა და ოჯახობას. რადგან მთელი საზოგადოება იქნება ვალდებული გადაიხადოს ზარალი, უფრო თვალ-ყურს ადევნებს და გაუფრთხილდება სხვის ქონებასაცა და თავისასაც; აღარც ავს კაცს დაჰფარავს და აღარც მაბეზღრობის სირცხვილი და შიში ექმნება. აქ მაბეზღრობა აღარ იქნება, რადგან საერთო ზარალში თითონაც უდევს წილი და შიშიც არ ექმნება, რადგან დანაკარგს აუდგენენ.

შეუძლიანთ გვიპასუხონ: ერთმა საზოგადოების, ანუ თემის წევრმა რომ ავ-კაცობა ჩაიდინოს სხვა საზოგადოებაში ანუ თემში, ის საზოგადოება რა დანაშაული იქნება და რად უნდა ჰზღოს ზარალიო? ამის მთქმელს უნდა მოვახსენოთ, რომ გარეშე მცხოვრებს უცნობს საზოგადოებასა და უცნობ ადგილას ძალიან იშვიათად შეუძლიან ავ-კაცობა ჩაიდინოს და თუ ეს ასეა ხოლმე ხშირად, უთუოდ იმ ადგილის კაციც ხელს უწყობს, ასე რომ მაინც საზოგადოებაშივეა მავნე კაცი, ე. ი. თვით საზოგადოება არის მაინც დანაშაული, რის გამო პასუხის-გებაც თითონ უნდა გასწიოს. ისეთი ქურდობა და ავაზაკობა არ მოხდება ერთს საზოგადოებაში, რომ ერთი თუ ორი იმ საზოგადოებისაც არ ერიოს, ან საქმის გარემოება არ იცოდეს, და თუ დღეს არავინ არაფერს ამხელს, ზემოხსენებულის მიზეზის გამო არ ამხელს. მოაცილეთ ეს მიზეზი, მეზობლის ზარალის ზღვევა დასდეთ ვალად და ჰნახავთ, თუ დაჰმალოს-და რამე.

ისკანდერ

◆◆

ზოგიერთი ჩვენი ნასწავლი ვაჟბატონი.

ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, არ იქმნა, ვერ შეიგნო საერთო კეთილის საქმის საჭიროება და რომ იგი აქნამომდე გულგრილად ეკიდება ყოველ ამგვარს საქმესაო. ამ გვარი საყვედური, რასაკვირველია, უსაფუძვლო არ არის საზოგადოდ, მაგრამ ბევრად უფრო სასაყვედურო და განკიცხვის ღირსნი ის ვაჟბატონები ბრძანდებიან, რომელთაც მაღალი სწავლა მიუღიათ, უსწავლელებზე უკეთესად ესმით ავი და კარგი, ნივთიერი შეძლებაც ხელს უწყობთ და მაინც კიდევ ისე გულგრილად ეკიდებიან ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს და ისე განზე გასდგომიან, თითქო ამ ქვეყნისანი არ იყვნენო.

მართლაც, ვის უნდა მოეთხოვოს უპირველეს ყოველთა საზოგადო საჭიროების შეგნება და იმისი ჯეროვანი თანაგრძნობა? საზოგადოდ უსწავლელ და გაუნათლებელ უმრავლესობას, თუ იმ ვაჟბატონებს, რომელთაც მაღალი სწავლა მიუღიათ და კარგად ესმით წარსული და აწმყო მთელის კაცობრიობის სვებედისა საზოგადოდ და ჩვენის ქვეყნისა კერძოდ? რაღა თქმა უნდა, ამ უკანასკნელებს, მაგრამ რასა ვხედავთ ჩვენ დღეს?

უმრავლესობა მაღალ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთა არა თუ სრულებით არავითარს მონაწილეობას არ იღებს ჩვენ საზოგადო საქმეებში, არამედ ისე მიყრუებულან და მიმალულან თავიანთს სოროებში, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არც-კი იცის, არსებობენ ისინი ქვეყანაზე თუ არა! ეხლა ჩვენში ერთს დაწესებულებას ვერ იპოვით, სადაც რამდენიმე ისეთი ქართველი არ იყოს, რომელსაც მაღალი სწავლა მიუღია. თუ არა გჯერათ, წარმოიდგინეთ: რამდენნი არიან ჩვენში ეხლა ქართველი იურისტები, ექიმები, მასწავლებლები, აფიცრები, მღვდლები და სხვანი, რომელთაც მაღალი სწავლა მიუღიათ და შესაფერი ადგილებიც უჭირავთ სამსახურში. მაშ სად ბრძანდებიან ეს ვაჟ-ბატონები? რატომ არსად სჩანან და არც ერთს ჩვენს საზოგადო კეთილს საქმეში არ იღებენ არავითარს მონაწილეობას? რა არის ამ მეტის-მეტად სამწუხარო და სავალალო მოვლენის მიზეზი?

უსამართლობა იქნება შევსწამოთ ამ განათლებულ ვაჟბატონებს, ვითომც იმათ არ ესმოდეთ თავიანთი მოვალეობა იმ ქვეყნის წინაშე, სადაც შობილან და აღზრდილან. არა, კარგად ესმით ყოველ მამულიშვილის სამღვთო მოვალეობა და ძალიანაც მოსწონთ, როცა სხვა-და-სხვა გაზეთსა და წიგნში კითხულობენ, რომ ამა-და-ამ ხალხს ამა და ამ მამულიშვილმა ესა-და-ეს ღვაწლი დასდოო და ასეთი სამსახური გაუწიაო. ასეთს მაგალითებს ისინი, უეჭველია, როგორც ჩვენ ყველანი, აღტაცებაში მოჰყავს. მაშ რაიმე სხვა მიზეზი უნდა იყოს უთუოდ. იქნება, ვინ იცის, კიდეც სურდეთ ამ ვაჟბატონებს გულითადის მონაწილეობის მიღება ჩვენს საზოგადო საქმეებში, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ და რა ნაირად. ნუ გაგეცინება, მკითხველო! ჩვენ ასეთი თავის გამართლებაც ბევრჯელ გაგვიგონია ზოგიერთ განათლებულ და შეძლებულ ვაჟბატონისაგან. ამის პასუხად ჩვენ სხვა რა გვეთქმის, იმის მეტი, რომ „თუ გული გულობსო...“ ნამდვილი მიზეზი იმ გულ-საკლავის მოვლენისა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, სულ სხვა გახლავთ.

თქვენ ხშირად შეხვდებით ეხლა ჩვენში ისეთ ნასწავლ ქართველებს, რომელთაც სრულებით დავიწყებული აქვთ თავიანთი ქვეყანა, თავიანთი ხალხოსნობა და ზოგს დედა ენაც. არც ერთს ამაზე ისინი არასოდეს არა ჰფიქრობენ. იმათი კერპი და ბომონი გამხდარა საკუთარი ინტერესი, საკუთარი ბედნიერება, ჯიბე. ქართველობა და საქართველო ამ გვარს ვაჟბატონებს ფეხებზე ჰკიდიათ. იმათ რომ თქვენ ქართულ რასმეზე: ან განათლებაზე, ან ენაზე, ან ლიტერატურასა, თეატრსა და სხვაზე ლაპარაკი დაუწყოთ, სასაცილოდ აგიგდებენ. რომ ჩვენში ეხლა ასეთი ვაჟბატონები მრავალნი არიან, ეს უეჭველია, მაგრამ ჩვენ ისინი ჩვენთვისა და ჩვენის ქვეყნისათვის ცოცხალ-მკვდრებად უნდა ჩავთვალოთ,

და ამიტომ იმათზე ლაპარაკი რადა საჭიროა. კუზიანებს ხომ მარტო სამარე გაასწორებს. ჩვენთვის უფრო საინტერესო და საყურადღებონი არიან მეორე რიგის განათლებული ვაჟბატონები.

ბევრი გახლავთ ჩვენ შორის ისეთი განათლებული ვაჟბატონი, რომელსაც კიდეც ახსოვს თავისი ხალხი და ქვეყანა, კარგადა ჰგრძნობს იმის ეხლანდელს მდგომარეობას და სურვილიცა აქვს მიიღოს მონაწილეობა ჩვენს საზოგადო საქმეში, მაგრამ, სამწუხაროდ, შიშისაგან ვერ ახერხებს. ეს ვაჟბატონი ისეთი მხდალი, დაბაბუნებული და უხასიათოა, რომ ვერც ერთს ქართულს საზოგადო საქმეში, ვერც ერთ ქართულს კრებაზედ ვერა ჩნდება იმ მოსაზრებით, ვაითუ ჩვენმა უფროსებმა გაგვიგონ, გვიწყინონ და ცუდის თვალით დაგვიწყონ ყურებაო, და ვაითუ ამათი ჩვენს კეთილს მდგომარეობასა და ჯიბეს დააკლდეს რამეო. აი მეორე ნამდვილი მიზეზი ზოგიერთის ჩვენის განათლებულ ვაჟბატონის განზე გადგომისა, მიყრუებულ ცხოვრებისა, სოროში შეძრომისა და საზოგადო საქმეებში გამოუდეგარობისა. ასეთი მშიშარა განათლებული ვაჟბატონები საკმაოდ გახლავთ როგორც პროვინციებში, ისე ამ ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისში. სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ასი მაინც ხომ იქნება ტფილისში ისეთი ქართველი, რომელსაც მაღალი სწავლა მიუღია. მაშ სად არიან ეს ვაჟბატონები? რატომ ვერსად ვხედავთ: ვერც ქართულს მწერლობაში, ვერც «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კრებებზე, ვერც ქართულს თეატრში და სხვა? იმიტომ, ბატონებო, რომ ეშინიანთ, არავინ გვნახოს, არავინ გაიგოს და «პატრიოტობა» არ შეგვწამოსო! საკვირველ არიან, უფალო, საქმენნი შენნი!

საოცარია ჭეშმარიტად, რატომ ამას მაინც არა ჰფიქრობენ ეგ ვაჟბატონები, რომ იმათი უფროსები არც ისე სულელები არიან, ვერ მიხვდნენ: ვინც თავისთვის, თავის ქვეყნისა და მოძმეთათვის უსარგებლო და გამოუსადეგარია, ის არც სხვისათვის არის გამოსადეგი. თუ კიდევ ზოგიერთ ბატონებს მოსწონთ ასეთი ქცევა განათლებულის ქართველებისა და აქეზებენ, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სულელად მიაჩნიათ ისინი და სასაცილოდა ჰყავთ აგდებული. ესეც არ იყოს, ნურას დროს ნუ იფიქრებენ და ტყუილი იმედი ნუ ექნებათ, რომ ამ გვარის ლაჩარის ქცევით ვინმე მოატყუონ და დიდი ნდობა და ჯილდო დაიმსახურონ.

ამას გარდა მარტო დღევანდელ დღისთვის რადა ჰფიქრობენ და ილწვიან ეგ ჩვენი გონება-გახსნილი და განათლებული ვაჟბატონები? რატომ ის ვერ წარმოუდგენიათ, რომ, ადრე იქნება, თუ გვიან, ჩვენშიაც გაიღვიძებს საზოგადო აზრი, ერთხელაც არის ღირსეულად დააფასებს ჩვენი ხალხი იმათს მოქმედებას და შესაფერის საწყაულით მიუწყავს მომავალში სასყიდელს?!

გ. წყალტუბელი

◆◆

წვრილი ამბები

გვგონებთ მთელს ქვეყნის მარზედ არ არის ისეთი ხალხი, რომ ამერიკელებსავით შეეძლოს ადამიანის ყურადღების მიზიდვა თავისის რეკლამებით და განცხადებით. აი აქ მოგვყავს რამდენიმე განცხადება ამერიკელებისა:

„საშინელს მდგომარეობაში იყო უბედური მამა, რომელსაც 18 ყმაწვილი ჰყავდა თვრამეტივენი ფეხსაცმლის ყიდვას უსტიროდნენ. 18 წყვილი ფეხსაცმელი, ესმით? რომელს დუქანში შესვიდეთ, რომ 15 მანეთი მაინც არა ღირდეს? საბრალო მამას-კი ამ ფულის ნახევარიც არ მოეძევებოდა... რა უნდა ექნა! უკვე დამბაჩა ეჭირა ხელში და უნდოდა... რომ ამ დროს ვიღაცამ უთხრა: ბ-ნი X, ფეხსაცმლების ვაჭარი, 50% უთმობს მუშტარსაო. გადარჩენილია! აი ამის წყალობით 18 დასაობლებელს მამა შერჩა და ფეხსაცმლებიც იშოვნეს?

„გამოჩენილმა ტენორმა X-მა მხოლოდ ექიმის Y-ის აბების წყალობით შეირჩინა ხმა, იმ აბებისა, რომლებიც ის აფთიაქში იყიდება“.

ნიუ-იორკის დიდს გაზეთში მკითხველის ყურადღებას იქცევს დიდი დაუბეჭდელი და ცარიელი ფურცელი. ქვემოდ კუთხეში მიბეჭდილია: „ეს ფურცელი მეპარიკმახერე ძმათა ბროუნის განცხადებისათვის იყო გადადებული, მაგრამ რადგან იმათ ძალიან ბევრი მუშტარი ჰყავთ, ამიტომ აღარ გამოაცხადეს“.

გაზეთები ამითაც არა კმაყოფილდებიან და სხვა ხერხსაცა ჰხმარობენ, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქციონ. მაგალითებრ ერთს გვერდზედ უშველებლის ასოებით არის დაბეჭდილი: „მეორე გვერდის წაკითხვა აღკრძალულია“ და მეორე გვერდზედ-კი, რაღა თქმა უნდა, განცხადებაა დაბეჭდილი. ამ განცხადებას თავში აწერია: როგორ არა გრცხვენიათ?“ ბოლოზედ: „რომ ეგრე ცუდად გაწმენდილი შლიაპა გხურავთ. გამწმენდი ჩოტკი J-ს მაღაზიაში იყიდეთ, რომ აგრე აღარ იაროთ“.

ან თუ არა, აგერ კედელზედ მიკრულია განცხადება, დაბეჭდილი ადლის ოდენა ასოებით: „შეერთებულის შტატების პრეზიდენტი გარდაიცვალა“, როცა უახლოვდებით ამ განცხადებას, პატარა ასოებსაცა ჰხედავთ, რომელიც დიდებშია ჩაჩხირული, და მაშინ ასე იკითხება განცხადება: «შეერთებულის შტატების პრეზიდენტი გარდაიცვლებოდა სიცივით, ჩვეულებრივ T—ს მიერ შეკერილს თბილს ქუდს რომ არ ატარებდეს“.

სასაფლაოსა და სამარესაც-კი არ ერიდებიან და იქაც-კი, ამ მწუხარების სამეფოში, შემდეგს წარწერას შეხვდებით: „აქ განისვენებს გვამი N. B.-სი, რომელმაც ტყვია მიირტყა შუბლში Col’ta-ს რევოლვერით. თავის მოკვლა ვისაც უნდა, ამ რევოლვერზედ საუკეთესოს ვერსად იშოვის“.

ნიუ-იორკის ერთმა ფარმაცევტმა სიცოცხლეშივე გაიკეთა სასაფლაო, ძეგლი აიგო და ზედ შემდეგი სიტყვები წააწერინა: «აქ უნდა განისვენოს ჯემსმა ბელტონმა, რომელიც, ვიდრე მოკვდებოდეს, თავის საკუთარს აფთიაქს უვლის და ჰპატრონობს. ეს აფთიაქი იმყოფება საუკეთესო ქუჩას „Première Avruenu.-ზედ.

◆◆

დეპეშები

11 დეკემბერი

საარბრიუკენი. მლიმე-მაღაროების მუშებმა კვლავ დაიწყეს მუშაობა საარის ყველა მადანში.

ბერლინი. მთავრობის სილეზიის გაზეთი ამბობს, რომ ფინანსების მხრივ რუსეთი ძალიან წინ წავიდაო. „ეს წინ-სვლაო, ამბობს გაზეთი: რუსეთის ფინანსთა მინისტრის სადამოქნო პოლიტიკას უნდა მიეწეროს, რადგან ამ პოლიტიკამ გააძლიერა სახელმწიფოს ქონება და იგივე იცავს ნორჩსა და განვითარების გზაზედ მობრუნებულს მრეწველობას რუსეთის იმპერიისას, რომლის ნიადაგშიაც დიდ-ძალი საუნჯეა დაფარულიო“.

12 დეკემბერი

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭოში გზათა მინისტრი ამ მოკლე ხანში წარადგენს ცნობას მასზედ, რომ რუსეთმა ზოგიერთ სახელმწიფოებთან უკვე შეკრა პირობა შესახებ საქონლის გადატან-გადმოტანისა რკინის გზებზე.

„Новое Время“ იუწყებოდა, ვითომც სახელმწიფო ქონებათა მინისტრი რჩება ინფლუენციისაგანო; მაგრამ ექიმები ურჩევენ, რომ თვე-ნახევარი მაინც თავი დაანებოს საქმეებსა.

გზათა მინისტრი სრულიად მორჩა ავადმყოფობისაგან.

პეტერბურგის გუბერნიის მარშალი თავად-აზნაურთა, გრაფი ბობრინსკი დანიშნულ იქმნა სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტად.

პეტერბურგის ბირჟა, 5 დეკემბ.

	მყიდველნა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	„	7 47
ტამოჟნის კუპონები . .	— „	„	$149^{3}/_{4}$
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 11
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	$255^{3}/_{4}$
—მეორისა	228	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. $3^{1}/_{2}$
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ $3^{1}/_{2}$
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 “
ღორის ხორცი . . . . . „ “
„ 2 „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადება

დიდ-წყლის საზიდ და საპიორების ქუჩის კუთხეში, კადეტების კორპუსისა და საპიორების ყაზარმებს ახლოს, ევანგულოვის სახლში, იძლევა ქირით,

ღვინის სარდაფი

რომელიც თაღებიანია და რომელშიაც წყალიც არის მილით გამოყვანილი.

(3—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

	მან.	კაპ.
საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . .	„	10
სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული	„	10
საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა . . .	„	25

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა	„	25
მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . .	„	60
თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა:	1	„
ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა	1	„
მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“	„	20
ქართული თეატრი, ვ. გუნიასი	„	40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . .	„	15
Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. .	„	50
ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . .	„	30
პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა	„	10

ამ დღეებში გამოვა და დაურიგდება გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ვრცელი, შევსებული

საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში— საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ-გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოება-აღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქელის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლვინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ესომისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ძისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.

(3—3)

Доз. ценз. Тифлисъ 12-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.